თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 12

ქ. თელავი 2019 წლის 21 აგვისტო

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარის მოადგილე გიგა მამუკელაშვილი, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

3. უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მცხოვრებ მოქალაქე გიორგი მარგალიტაშვილისთვის სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ არ არის წარმოდგენილი წინა პერიოდში კონკრეტულად რა აქტივობები აქვს ჩატარებული, შეექმნა თუ არა წინააღმდეგობები ფართის უქონლობით, მუნიციპალიტეტში რის გაკეთებას აპირებს პრეტენდენტი მომავალში.

მედეა ჩაფურიშვილმა აღნიშნა, რომ მოთხოვილი ფართი საჭიროებს რემონტს, რაც უნდა ჩაიდოს ხელშეკრულებაში „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის“ ვალდებულებად.

ზურაბ ენუქიძემ აღნიშნა, რომ ფართის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული კომუნალური ხარჯი ასევეა გასათვალისწინებელი ვალდებულებად.

გიორგი ჩაბრაშვილმა დააყენა წინადადება, რომ საკითხი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე იმ პირობით თუ მერიის მიერ გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებაში გამოთქმული შენიშვნები.

გ.ჩაბრაშვილს დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის მიერ დაყენებული წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ წინა წლის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო 100 000 ლარის ოდენობით ინვესტიციის განხორციელება, რაც კლუბის მიერ არ იქნა შესრულებული, მიმდინარე წელს არანაირი პირობა არაა ჩადებული.

მედეა ჩაფურიშვილმა აღნიშნა, რომ მერიამ უნდა გააკეთოს პროექტის ტრანსფორმირება და კლუბს გაუფორმოს საიჯარო ხელშეკრულება.

ბესიკ ქოჩიშვილი დაეთანხმა ჩაფურიშვილის მოსაზრებას, რომ კლუბი, რომელიც არის კერძო კომპანია, მასზედ უნდა მოხდეს ქონების საიჯარო ხელშეკრულებით გადაცემა და არა უსასყიდლოდ, ამიტომ პროექტი ასეთი სახით წარდგენილი იქნას საკრებულოს ბიუროზე განსახილველად.

ბესიკ ქოჩიშვილის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე მერიამ მოახდინოს პროექტის ტრანსფორმირება, რის შემდგომ საიჯარო ხელშეკრულების სახით წარდგენილი იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს 3. უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ მერიამ გაითვალისწინა კომისიის შენიშვნა და წარმოადგინა პროექტი ქ.თელავში ახვლედიანის N39 არსებული ქონების ნუსხიდან ამოღების თაობაზე და დააყენა წინადადება, პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის შესახებ.

ა.შათირიშვილის წინადადებას დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრები.

გადაწყვიტეს: უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 4. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მცხოვრებ მოქალაქე გიორგი მარგალიტაშვილისთვის სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ გასულ წელს გ.მარგალიტაშვილმა მოითხოვა ვადის ერთი წლით გაგრძელება, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ვერ შესძლო სააუქციონო პირობის შესრულება, ითხოვს კიდევ ერთი წლით გაგრძელებას და დააყენა წინადადება თხოვნის დაკმაყოფილების და საკითხის საკრებულოს ბიუროზე წარდგენის თაობაზე.

ა.შათირიშვილს დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მცხოვრებ მოქალაქე გიორგი მარგალიტაშვილისთვის სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელების შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე ა. ალექსანდრე შათირიშვილი